

- ბ) ცხოველთა მონაცემების ბაზის წარმოება;
- გ) ცხოველისათვის ამ წესით განსაზღვრული სტატუსიდან ერთ-ერთის მინიჭება;
- დ) დაჭერილი ცხოველების მოკვდინება ამ წესით განსაზღვრულ შემთხვევებში და შემდგომი პროცედურების განხორციელება;
- ე) ამ წესითა და საკუთარი დებულებით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება;

### **მუხლი 7. ცხოველთა თავშესაფარი**

1. ცხოველთა თავშესაფრების მოწყობის აუცილებლობა განპირობებულია ქუჩებში მაწანწალა, უმეტეაღყურედ დარჩენილი ცხოველების საკმაოდ მაღალი რაოდენობით, რაც ერთ-ერთი ძირითადი წყაროა როგორც ცოფის ვირუსის, ასევე სხვა ზოონოზური დაავადებების გავრცელების.
2. თავშესაფარში უნდა განხორციელდეს მაწანწალა უმეტეაღყურეო ცხოველებზე შესაბამისი ვეტერინარული ზედამხედველობა, ვაქცინაცია, კასტრაცია (რაც ხელს უწყობს მაწანწალების დეპოპულაციას), საჭიროების შემთხვევაში ევთანაზია და კლინიკურად ჯანმრთელი ცხოველების თავის ბუნებრივ არიალებში დაბრუნება.
3. ცხოველთა თავშესაფრების მოწყობის დროს გათვალისწინებული უნდა იქნას მისი განთავსების ადგილი, მოცულობა, ცხოველების მოვლა-შენახვის პირობები, შესაძლებელია გათვალისწინებული იქნას ცხოველთა დაცვის არასამთავრობო ორგანიზაციების რეკომენდაციებიც.
4. თავშესაფარი ექვემდებარება შესაბამის კონტროლს უფლებამოსილი ორგანოს მხრიდან.
5. თავშესაფარი მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის, წინამდებარე წესის და საკუთარი დებულების საფუძველზე.

### **მუხლი 8. ცხოველთა საკარანტინო ვოილერები**

1. ცხოველთა საკარანტინო ვოილერებში უნდა განთავსდნენ დამკბენი ცხოველები, რომლებზედაც საჭიროა 10-დღიანი ვეტერინარული ზედამხედველობის განხორციელება. ზედამხედველობის შედეგი უნდა ეცნობოს ჯანდაცვის ორგანოებს, რაც განაპირობებს ანტირაბიული ვაქცინაციის კურსის ხანგრძლივობის განსაზღვრას. 10-დღიანი ვეტერინარული ზედამხედველობის პერიოდში ხშირია ცხოველების დაკარგვის ფაქტები, დაკბენილი ადამიანი იძულებულია ჩაიტაროს ვაქცინაციის სრული კურსი, რაც გარკვეულწილად ანტირაბიული ვაქცინის დიდ დანახარჯებს იწვევს.
2. საკარანტინო ვოილერების რაოდენობა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განისაზღვროს დამკბენი ცხოველების რაოდენობის გათვალისწინებით (სასურველია გათვალისწინებული იქნას რამოდენიმე წლის დაკბენის შემთხვევების საშუალო არითმეტიკული).
3. ვოილერებში განთავსებულ ცხოველებზე ზედამხედველობა განხორციელოს ვეტერინარმა ექიმმა და ცხოველისათვის დაავადების კლინიკური ნიშნების შემჩნევის, დაცემის ან 10-დღიანი ზედამხედველობის დამთავრების შემდეგ დაუყოვნებლივ ინფორმაცია მიაწოდოს ჯანდაცვის ორგანოებს და დაინტერესებულ მხარეებს.
4. ვოილერების მოწყობის დროს გათვალისწინებულ იქნეს მისი განთავსების ადგილი, მოცულობა, ცხოველების მოვლა-შენახვის პირობები, ვოილერებში ცხოველების მომსახურება (დარწყულება, კვება).
5. ცხოველთა ვოილერების და თავშესაფრების რაოდენობა ქალაქის ტერიტორიაზე უნდა განისაზღვროს ქალაქის ტერიტორიაზე ცხოველთა იმ სავარაუდო სულადობის გათვალისწინებით, რომლებიც შესაძლებელია დაექვემდებარონ მსგავს დაწესებულებაში მოხვედრას.